

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სარჩევი

- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
- დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
- მოგება-ზარალის ანგარიში
- სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
- კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

- ორგანიზაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.
 - ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
 - კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
 - სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
 - კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
 - თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 28 სექტემბერი.

დირექტორი

2018 წ. 28 სექტემბერი.

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (შემდეგში „კომპანია“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა სტანდარტების მიხედვით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA Code), ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენს ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის დროს. უზუსტობები შესაძლოა გამოწვეული იყოს თაღლითობის ან შეცდომის გამო და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-ების შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს სპეციალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის კვალიფიციური დასკვნის ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

შპს „აუდიტორული ფირმა ათოსი“

28 სექტემბერი, 2018 წელი

თბილისი, საქართველო

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ვალუტა: ლარი

	12/31/2017	31/12/2016	31/12/2015	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	22	471		ა1
ფული საბანკო ანგარიშზე	151,254	339,561	140,642	ა1
მოკლევადიანი მოთხოვნები	1,106,464	447,961	215,520	ა2
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	76,903	78,947	15,845	ა3
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,264	7,772	1,558	ა4
სხვა მიმდინარე აქტივები	2,052		1,040	ა5
საგადასახადო აქტივები	140,503		112,631	ა6
სულ მიმდინარე აქტივები	1,480,462	874,712	487,236	
ძირითადი საშუალებები	13,909,654	14,506,938	15,009,974	ა7
არამატერიალური აქტივები	9,880	10,910	12,350	ა8
სულ გრძელვადიანი აქტივები	13,919,534	14,517,848	15,022,323	
სულ აქტივები	15,399,996	15,392,560	15,509,559	
მოკლევადიანი ვალდებულებები	744,716	625,412	1,307,766	ა9
საგადასახადო ვალდებულებები		46,543		
სხვა დარიცხული ვალდებულებები	12,411	2,425	1,200	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	757,127	674,380	1,308,966	
გრძელვადიანი სესხი		436,609	436,609	ა10
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		436,609	436,609	
სულ ვალდებულებები	757,127	1,110,989	1,745,575	
საწესდებო კაპიტალი	1,005,736	1,005,736	1,005,736	ა11
მოგება/ ზარალი	12,933,888	12,572,590	12,055,004	ა11
რეზერვები და დაფინანსება	703,245	703,245	703,245	ა11
სულ კაპიტალი	14,642,869	14,281,572	13,763,985	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	15,399,996	15,392,560	15,509,559	

დირექტორი ილიას ჩილოდლო
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ვალუტა: ლარი

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	2017	2016
შემოსავალი რელიზაციიდან	7,171,983	7,403,492
რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება	(44,189)	(59,884)
საერთო მოგება	7,127,794	7,343,609
სხვა შემოსავალი	453,403	30,125
მიწოდების ხარჯები	(117,226)	(173,815)
ადმინისტრაციული დანახარჯები	(6,884,437)	(6,464,556)
ფინანსური დანახარჯები	0	(30,904)
უიმედო და საჭვო დებიტორული დავალიანება	(156,385)	0
სხვა ხარჯები	(2,013)	(645)
მოგება დაბეგრამდე	421,136	703,814
მოგების გადასახადი		(186,227)
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	421,136	517,587

დირექტორი ილიას ჩილოდლო
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ვალუტა: ლარი

შპს "შავი ზღვის უნივერსიტეტი"
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

	2017	2016
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	6,654,012	7,250,358
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	(6,791,657)	(7,051,072)
	(137,645)	199,286
საინვესტიციო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	(50,200)	0
	(50,200)	0
ფინანსური საქმიანობა		
არასაოპერაციო შემოსავლები	67,766	128,410
არასაოპერაციო ხარჯები	(68,676)	(128,306)
	(911)	104
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	(188,756)	199,390

დირექტორი ილიას ჩილოღლუ
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ვალუტა: ლარი

Row Labels	31.12.2016 დებეტი	31.12.201 6 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.201 7 დებეტი	31.12.201 7 კრედიტი
5150 საწესდებო კაპიტალი შპს-ში		1,005,737				1,005,737
		12,572,59				12,933,88
5310 გაუნაწილებელი მოგება		0	59,838	421,136		8
5420 ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		703,245				703,245
		14,281,57				14,642,86
ჯამი	0	2	59,838	421,136	0	9

დირექტორი ილიას ჩილოდღუ
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

1. ორგანიზაცია

სუბიექტი საფირმო სახელწოდება: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 229275405
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 30/4-1; 25/08/1995
მარეგისტრირებული ორგანო: დუშეთის სასამართლო
იურიდიული მისამართი: საქართველო, დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა

მმართველობის ორგანოები: პარტნიორთა კრება, დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო
თავმჯდომარე/წევრი: 01592004350, ადემ ონალ, თურქეთი
წევრი: 01092000621, ილიას ჩილოღლუ, თურქეთი, საქართველო
წევრი: 01097000161, ექრემ დინდაროლ, თურქეთი
წევრი: 01015024655, რესულ დიქმენ საქართველო, თურქეთი
წევრი: 01092000457, აიჰან არსლან, თურქეთი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
დირექტორი - 01092000621, ილიას ჩილოღლუ, თურქეთი

პარტნიორები
204891322, შპს კონტროლი - 60%
637/2004, ამხანაგობა შიმშეჯი, ალთაში, აქინი, გერმანია - 40%

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, სხვადასხვა სასწავლო კურსების მოწყობა (მათ შორის საზაფხულო), ტრენინგების და კონფერენციების მოწყობა. არაძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართების იჯარით გაცემა.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში.

აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ეა) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, კომპანია თავის მეკავშირე საწარმოს ანგარიშგებას წარუდგენს ევროში.

აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ პროგრამაში - ორისი, რომელიც როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივად აღრიცხავს ძირითადი საშუალებების, სმფ-ს შემოსვლას, საწყობებს შორის შიდა გადაადგილებებს, რეალიზაციას, შემოსავალს რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას. ამავე პროგრამის ბაზაზე ხდება ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მთავარი ბუღალტერი, ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა.

კომპანიას არამატერიალური აქტივები ბალანსზე არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვლელთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

გაუფასურება იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 16-ს.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

კომპანია პროდუქციას არ აწარმოებს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა, თუმცა მას ბალანსზე ერიცხება სმფ, რომელსაც აღრიცხავს ბასს2-ის მოთხოვნების შესაბამისად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. ხარჯებად აღიარება. როცა მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა უნდა

აღიარდეს იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება ბასს 18 მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

პროცენტები, როიალტები და დივიდენდები აისახება ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში საწარმოში შემოვა ეკონომიკური სარგებელი;

ბ) შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება. ბასს 18

ა) პროცენტების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39-ის მე-9 და მგ5-მგ8 პუნქტები;

ბ) როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსის მიხედვით;

გ) დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

საკუროს სხვაობების აღიარება. საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

საღაროს ოპერაციების აღრიცხვა.

მომხმარებლებთან ანგარიშსწორება უმეტესწილად ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით და მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო-საკასო აპარატებით. საღაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება, საღაროს ოპერაციებს მოღარე ოპერატორები და მთავარი მოღარე ახორციელებენ. ისინი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. საღაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით. ორდერებზე არ ხდება მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითება, ვინაიდან ამ ანგარიშების განსაზღვრას საღაროს ოპერაციების ბუღალტრულ ბაზაში ასახვის ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.

ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციების შინაარსების მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

მყიდველებთან და დამკვეთებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

ბასს39 მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრება, არსებობს თუ არა მინიშნება დებიტორული დავალიანების, როგორც ფინანსური აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეაფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და განმარტებით შენიშვნებში აისახება სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შინაარსი და მოცულობა (Loss allowance), რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოსალოდნელია, რომ მოახდენს მომავალ პერიოდებზე.

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკუროსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი N19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდარტის მე-11 პუნქტის მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი, ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში (მაგ. ბასს 2 – „მარაგები“, ან ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“).

იჯარის აღრიცხვა

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

კომპანია, როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით არებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

3. სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

დამატებული ღირებულების გადასახადი. საგანმანათლებლო მომსახურება განთავისუფლებულია დღგ-საგან, ხოლო მცირე ოდენობით საიჯარო და სხვა მომსახურებები საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოგების გადასახადი 2017 წლის პირველი იანვრიდან გაიანგარიშება ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო სამსახურის ვადა. კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო სამსახურის ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2017 და 2016 წლების განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასარგებლო სამსახურის ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.

დაკავშირებული მხარეები არიან:

სამეთვალყურეო საბჭოს:

თავმჯდომარე 01592004350, ადემ ონალ, თურქეთი

წევრი: 01092000621, ილიას ჩილოღლუ, თურქეთი, საქართველო

წევრი: 01097000161, ექრემ დინდაროლ, თურქეთი

წევრი: 01015024655, რესულ დიქმენ საქართველო, თურქეთი

წევრი: 01092000457, აიჰან არსლან, თურქეთი

დირექტორი - 01092000621, ილიას ჩილოღლუ, თურქეთი

პარტნიორები

204891322, შპს კონტროლი - 60%

637/2004, ამხანაგობა შიმშეჟი, ალთაში, აქინი, გერმანია - 40%

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

ამ შესწორებათა ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან¹;
- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები³;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით¹;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში⁴;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა¹;
- შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრაქტებთან“ ერთად¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².

შენიშვნები:

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფული და ექვივალენტები (ა1)

	31.12.2016 დებიტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებიტი	31.12.2017 კრედიტი
1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	471		18,000	18,449	22	
1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	322,457		6,767,627	6,957,912	132,172	
1220 აშშ დოლარი რეზიდენტ ბანკში	1,230		79,067	72,104	8,193	
1230 ევრო რეზიდენტ ბანკში	15,874		46,057	51,272	10,659	
1290 ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე			6,952	6,722	230	
ჯამი	340,032		6,917,703	7,106,459	151,276	

მოკლევადიანი მოთხოვნები (ა2)

	31.12.2016 დებიტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებიტი	31.12.2017 კრედიტი
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	447,961		1,588,945	960,442	1,076,464	
1455 მოთხოვნები გაცემული სესხებიდან			85,000	55,000	30,000	
1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			12	12		
ჯამი	447,961		1,675,782	1,016,705	1,106,464	

აერთიანებს მოთხოვნებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ბანკების მიმართ მომხმარებლების მიერ საკრედიტო ბარათებით გადახდილ თანხებზე, ფილიალების მიმართ მოთხოვნებსა და ავკ-ების მიმართ მოთხოვნებს.

რაც შეეხება მოთხოვნებს მომსახურების მიწოდებიდან (იხ ცხრილი ქვემოთ), მომხმარებლების რეიტინგის გათვალისწინებით, მიუხედავად ორი დებიტორის ვადაგადაცილებული მცირე დავალიანებისა, Loss Allowance არაარსებით თანხას შეადგენს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგი (ა3)

	31.12.2016 დებიტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებიტი	31.12.2017 კრედიტი
1610 საქონელი	25,664		9,703	29,706	5,661	
1611 წამლები და სამედიცინო ინსტრუმენტები	1,171		3,064		4,235	
1615 საქონელი (ჭურჭელი)	14,982		417		15,399	
1620 ნედლეული და მასალები წიგნები						
1621 წიგნები პირველკურსელებისათვის 1						
1622 პირველ კურსელებზე გასაცემი წიგნები 2	12,966			12,966		
1631 დაუმთავრებელი წარმოება მშენებლობა (შეძენილი საქართველოში)						
1632 შენობების (ახალი კამპუსი) რეკონსტრუქციისათვის შეძენილი საქონელი	22,630				22,630	
1633 ექსპლატაციაში შესული შენობების რეკონსტრუქციისათვის 2015 წელს შეცენილი საქონელი	7,668				7,668	
1634 მარაგები რობოტ კლუბისთვის (რობოტის ასწყობად)	683				683	
1635 შუალედური ანგარიში			81,817	81,817		
1640 მზა პროდუქცია	28,036		2,304		30,340	
1650 წიგნები	72,750				72,750	
1680 სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი A	3,782		25,101	2,771	26,111	
1681 გასაცემი წიგნები			5,300	152	5,148	
1690 სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი						
1691 სასაჩუქრე საქონელი	4,384		11,718	11,335	4,767	
1699 ვირტუალური ანგარიში ქონების გადასახადისთვის		115,767		2,721		118,489
ჯამი	194,715	115,767	139,423	141,468	195,392	118,489

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, ვინაიდან შესაძლო სარეალიზაციო ღირებულება თვითღირებულებაზე მაღალია.

1700 წინასწარ გაწეული ხარჯები (ა4)

	31.12.2016 დებიტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებიტი	31.12.2017 კრედიტი
1710 წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	7,772		3,000	7,558	3,214	
1720 წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა						
1730 წინასწარ გადახდილი საგარანტიო თანხები			1,264	1,264		
1790 სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები			51	1	50	
ჯამი	7,772		4,315	8,822	3,264	

1800 სხვა მიმდინარე აქტივები (ა5)

	31.12.2016 დებიტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებიტი	31.12.2017 კრედიტი
1820 მისაღები პროცენტები			4,985	2,933	2,052	
ჯამი			4,985	2,933	2,052	

საგადასახადო აქტივები (ა6)

Row Labels	31.12.2016 დებიტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებიტი	31.12.2017 კრედიტი
3310 გადასახდელი მოგების გადასახადი		183,589	184,004	7,080		6,666
3311 სესხის პროცენტზე გადასახადის დაკავება	606				606	
3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	13,094	10,245	1,034,183	1,031,922	5,109	
3330 გადასახდელი დღგ	8,996	10,941	4,045	14,430	8,198	20,529
3340 გადახდილი დღგ	133,047		2,265		135,312	
3341 საბაჟოს დღგ	4,246				4,246	
3345 სალდირებული დღგ	8,249		7,664		15,913	
3380 ქონების გადასახადი		10,011	157,891	149,573		1,693
3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები	6				6	
ჯამი	168,243	214,786	1,390,051	1,203,005	169,390	28,887

ძირითადი საშუალებები (ა7)

დასახელება	საწყისი ბალანსი	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა საანგარიშო პერიოდში	ნაშთი
2110 მიწის ნაკვეთები	1,923,218	0	0	0	1,923,218
2120 დაუმთავრებელი მშენებლობა	1,289,738	0	0	0	1,289,738
2130 შენობები	9,119,874	0	0	455,281	8,664,592
2140 ნაგებობები	22,576	0	0	1,129	21,448
2141 ეზოს ტერიტორიის მოწყობა ასფალტით დაბორდიურით	183,917	0	0	23,275	160,642
2144 ბიოლოგიური აქტივები (მცენარეები)	627	2,716	0	0	3,343
2145 წიგნები, ჟურნალები და სასწავლო კასეტები	181,421	25,587	3,782	0	203,226
2150 მანქანა-დანადგარები	209,542	26,287	0	20,875	214,954
2155 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება	489,095	49,181	0	93,423	444,852
2160 ოფისის აღჭურვილობა	339,709	72,202	0	57,450	354,460
2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი (ინვენტარიზაცია 2013)	468,303	0	0	93,657	374,646
2180 სატრანსპორტო საშუალებები	45,412	0	0	9,082	36,330
2190 იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	134,126	19,775	0	28,983	124,919
2199 ვირტუალური ანგარიში ქონების გადასახადისათვის	99,379	2,721	0	8,816	93,285
ჯამი	14,506,938	198,469	3,782	791,972	13,909,654

წლის ბოლოს გადასინჯულია ყველა ერთეულის სასარგებლო მომსახურების ვადა და ნარჩენი ღირებულება. სააღრიცხვო შეფასებები ამ საკითხის მიხედვით არ შეცვლილა.

არამატერიალური აქტივები (ა8)

დასახელება	საწყისი ბალანსი	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა საანგარიშო პერიოდში	ნაშთი
2510 ლიცენზიები	7,988	318	0	1,937	9,607
2530 პატენტები	1,674	644	0	0	1,031
2590 სხვა არამატერიალური აქტივები	218	0	0	55	273
ჯამი	9,880	961	0	1,992	10,910

3000 მიმდინარე ვალდებულებები (ა9)

31.12.2016 დებეტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებეტი	31.12.2017 კრედიტი
----------------------	-----------------------	------------------	-------------------	----------------------	-----------------------

3110 მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	62,794	487,868	1,333,184	1,297,811	66,720	456,422
3111 მიკრო ბიზნესი და ფიქსირებული გადას. გადამხ. ორგ-თან ვალდებულებები			2,887	2,887		
3120 მიღებული ავანსები		200,154	752,652	907,533		355,035
3130 გადასახდელი ხელფასები			4,578,557	4,578,557		
3131 ფიზიკური პირის მომსახურების ანაზღაურება			332,301	332,301		
3133 ხელფასთან გათანაბრებული გადასახადები			169,758	169,758		
3134 არარეზიდენტი იურიდიული პირების მომსახ. ანაზღ.			31,743	31,743		
3137 ვიშეგრადის პროექტის მომსახურების ანაზღაურება			5,702	5,702		
3138 დაადის პროგრამის ხელფასები			14,114	14,114		
3160 ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		205	21,276	21,071		
3186 ვალდებულება საბაჟოს წინაშე	21		118	118	21	
ჯამი	62,815	688,227	7,242,291	7,361,595	66,741	811,457

4200 გრძელვადიანი სესხები (ა10)

	31.12.2016 დებეტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებეტი	31.12.2017 კრედიტი
4221 ფირმის გრძელვადიანი სესხი		436,609	436,609			
ჯამი		436,609	436,609			

5000 კაპიტალი (ა11)

Row Labels	31.12.2016 დებეტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებეტი	31.12.2017 კრედიტი
5150 საწესდებო კაპიტალი შპს-ში		1,005,737				1,005,737
5310 გაუნაწილებელი მოგება		12,572,590	59,838	421,136		12,933,888
5420 მირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		703,245				703,245
ჯამი	0	14,281,572	59,838	421,136	0	14,642,869

კაპიტალის ზრდა განპირობებულია საანგარიშო წლის წმინდა მოგებით (421,136 ლ) და შემცირება-დივიდენდების გამოცხადებით (59,838 ლ).

საოპერაციო შემოსავლები (ბ1)

	თანხა
6110 შემოსავალი რელიგიიდან	6,012,770
6120 სახელმწიფო სასწავლო გრანტი	905,913
6121 მოსამზადებელი ჯგუფი	100,788
6123 სასწავლო კურსების (უცხო ენების) შემოსავლები	6,252
6124 სასწავლო კურსების (ზაფხულის სკოლის) შემოსავლები	1,343
6130 TOEFL შემოსავლები	16,715
6131 ტრენინგის კურსების შემოსავლები	59,630
6132 კონფერენციის საფასური	4,398
6137 ვიშეგრადის საუნივერსიტეტო კურსის პროექტი	4,593
6138 DAAD-ის პროგრამის შემოსავლები (დღგ)	15,477
6139 ERASMUS+ პროგრამის შემოსავლები	1,263
6141 შრუტსაველის სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტის შემოსავლები	6,230
6150 სხვადასხვა შემოსავლები	3,798
6190 სხვა საოპერაციო შემოსავლები	670
6191 შემოსავალი რომელიც დღგ-თი იბეგრება (დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა)	32,143
ჯამი	7,171,983

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები (ბ3)

	ხარჯი	შემოსავალი
8110 საპროცენტო შემოსავლები	1,118	12,437
8130 არასაოპერაციო მოგება		436,609
8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5,474
8220 არასაოპერაციო ზარალი	127	
8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,100	
8330 აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	786	
ჯამი	3,131	454,521

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიდში გაწეული ხარჯები ასეთია: (ბ2)

	თანხა
7210 გაყიდული/შემძენილი საქონელი	44,189
7310 რეკლამის ხარჯები	117,226
7410 შრომის ანაზღაურება	4,746,128
7411 ფიზიკური პირის მომსახურების ანაზღაურება	352,935
7412 მივლინების ხარჯი	30,110
7414 მომსახურების ხარჯები	117,903

7416 ბანკის მომსახურება	2,134
7417 ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯი	22,498
7420 საიჯარო ქირა	65,450
7426 წარმომადგენლობითი ხარჯი	71,175
7430 კომუნიკაციის ხარჯები	32,876
7431 ელექტრო ენერგიის ხარჯი	64,408
7432 ბუნებრივი გაზის ხარჯი	66,046
7433 წყლის ხარჯი	21,902
7434 დასუფთავების ხარჯი	14,644
7440 რემონტი	24,402
7450 საკონსულტაციო ხარჯები	43,976
7455 ცვეთა და ამორტიზაცია	764,981
7456 იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	28,983
7470 უმედო და საექვო დებიტორული დავალიანება	156,385
7480 დაცვის მომსახურების ხარჯი	93,600
7481 სპორტ კლუბის ხარჯები	3,750
7490 სხვა საერთო ხარჯი	166,963
ჯამი	7,052,664

6. რისკის მართვა

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განაგრძონ ბიზნესი.

კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- საბაზრო რისკს

- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიაღება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვინებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.

რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადაგადაცილებას, კლიენტების რეიტინგს. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი

საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

7. შემდგომი მოვლენები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს:

1. კომპანიას საგადასახადო შემოწმების შედეგად დაერიცხა გადასახადების ძირითადი თანხების, სანქციებისა და საურავების სახით ბიუჯეტის სასარგებლოდ სულ 1,323,745 ლარი (მ.შ ძირითადი 460,504 ლარი). საგადასახადო დავის პირველი ეტაპის შემდეგ დარიცხული თანხები განახევრდა და საწარმო იმედოვნებს დავის დასრულებას ზემოთხსენებული თანხების პრაქტიკულად მთლიანად ანუღირებით.
2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების უფლება ერთი წლის ვადით შეეზღუდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 20 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელს ავტორიზაცია 6 წლით გაუგრძელდა, ის 2018 სასწავლო წელს სტუდენტებს ვერ მიიღებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“

მმართველობის ანგარიშგება

2017 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ

ა) საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა.

1995 წელს დაარსებული კერძო უმაღლესი სასწავლებელი - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში შსსუ) საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. შსსუ წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის ცენტრს, რომლებსაც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს ინგლისურ და ქართულ ენებზე, ამასთან, უზრუნველყოფს საერთაშორისო გარემოთი, როგორც ეს უნივერსიტეტის სახელწოდებიდანაც ჩანს.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებები, მითითებები და სხვა ქვენორმატიული აქტები.

კომპანია წარმადგენს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას. მისი სეგმენტი ამ სფეროში შეადგენს 2-5%.

უნივერსიტეტს გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს 41 საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო), ისევე როგორც სასერთიფიკატო კურსები და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამები.

შსსუ ცდილობს შეინარჩუნოს მცირე აუდიტორიები, რათა მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს ინტერაქცია სტუდენტებსა და ლექტორებს შორის. დაარსების დღიდან, შსსუ სტუდენტებს სთავაზობს ინგლისურენოვან პროგრამებს. 2012 წლიდან უნივერსიტეტი ახორციელებს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც სურთ სწავლა ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე. საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებულია სწავლა/სწავლების უახლესი მეთოდოლოგია.

1.ბ ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანია მიმდინარე პერიოდში საქმიანობას ეწევა მხოლოდ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრზე #2, იჯარით აღებულ ფართში.

1.გ კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული

ღონისძიებების მიმოხილვა

საქართველოში კვლევას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. შსსუ ყურადღებით არჩევს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, მათ ენობრივ უნარებს, კვლევის თემატიკას და სფეროსადმი შესაბამისობას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას აკადემიური წახალისებებისა და ყველა ფაკულტეტზე სამეცნიერო ჟურნალის არსებობით. სამეცნიერო შეხვედრები კვლევისა და კონტაქტების დამყარების კიდეც ერთი საშუალებაა. უნივერსიტეტი მოუწოდებს აკადემიურ პერსონალს კვლევები განახორციელონ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან ერთად.

1.დ საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო სამი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

	31/12/2015	31/12/2016	% წინა წელთან შედარებით	31/12/2017	% წინა წელთან შედარებით	% წინა 2015 წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	487,236	874,712	179.53%	1,480,462	169.25%	303.85%
გრძელვადიანი აქტივები	15,022,323	14,517,848	96.64%	13,919,534	95.88%	92.66%
სულ აქტივები	15,509,559	15,392,560	99.25%	15,399,996	100.05%	99.29%
მიმდინარე ვალდებულებები	1,308,966	674,380	51.52%	757,127	112.27%	57.84%
გრძელვადიანი ვალდებულებები	436,609	436,609	100.00%	0	0.00%	0.00%
მოგება/ ზარალი	12,055,004	12,572,590	104.29%	12,933,888	102.87%	107.29%
სულ კაპიტალი	13,763,985	14,281,572	103.76%	14,642,869	102.53%	106.39%
შემოსავალი რელიზაციიდან		7,403,492		7,171,983	96.87%	

არაფინანსური მაჩვენებლები

შპს-ს ძირითადი ძლიერი მხარეები

კატეგორია კურსდამთავრებული	პუნქტი ცნობადი კურსდამთავრებულები კურსდამთავრებულები მსოფლიო მასშტაბით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი ხარისხი
კარიერის დაგეგმვა	სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით კარიერის დაგეგმვის სამსახურის განვითარება
განათლება	საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში ყველა პროგრამას გავლილი აქვს აკრედიტაცია ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმისაწვდომობა ოპტიმალური ზომის აუდიტორიები დისციპლინის მაღალი დონე სტუდენტთა შეფასების ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა სტუდენტებზე ორიენტირებული / მეგობრული სასწავლო გარემო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ჩარიცხულ სტუდენტთა მაჩვენებელი
დამსაქმებლები	უცხოელი მოწვეული პერსონალი სტუდენტთა მრჩეველები სტუდენტების ინდივიდუალად აღიარება სტუდენტებისთვის ხელშემწყობი სერვისების ხელმისაწვდომობა ელექტრონული მონაცემთა ბაზები (SIS და SMART სისტემები) საგამოცდო ცენტრი მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან პოტენციურ დამსაქმებელთან მარტივი წვდომის შესაძლებლობა (დედაქალაქში მდებარეობა)
ადამიანური რესურსების მართვა	ლოიალური პერსონალი პერსონალის დაწინაურების შესაძლებლობები ცვლილებებისადმი სწრაფად რეაგირების უნარი გუნდური სულისკვეთება და სოლიდარობის გრძნობა
ინტერნაციონალიზაცია	საერთაშორისო გარემო (სტუდენტებისა და პერსონალის მულტიკულტურული საზოგადოება) საგანმანათლებლო პროგრამების მზარდი ინტერნაციონალიზაცია აქტიური ურთიერთობა სხვა უნივერსიტეტებთან, სააგენტოებსა და ორგანიზაციებთან;
კამპუსი	საერთაშორისო სტუდენტთა მრავალეროვნულობა; უსაფრთხო და სუფთა გარემო;

ენა	სხვადასხვა უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა;
ბიბლიოთეკა	შესაბამისი რესურსები და მყუდრო გარემო;
ურთიერთობა	მჭიდრო კავშირები კერძო და საჯარო დაწესებულებებთან;
საზოგადოებასთან	კარგი რეპუტაცია (საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი
ურთიერთობა	უნივერსიტეტი);
მენეჯმენტი	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისი დოკუმენტაციის
	არსებობა (რეგულაციები, ინსტრუქციები) ;
	მენეჯმენტის ზედა და საშუალო რგოლებთან ადვილი წვდომა;
კვლევა	წახალისების სისტემა აკადემიური/აფილირებული
	პერსონალისათვის;
	აკადემიური ჟურნალი თითოეულ ფაკულტეტზე;
სოციალური აქტივობა	აქტიური სოციალური ცხოვრება, მრავალფეროვანი სტუდენტური
	კლუბები;
გადასახადი	გრანტებისა და ფასდაკლებების შესაძლებლობები; ადგილობრივი და
	უცხოელი სტუდენტებისთვის
	სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის შესაძლებლობა

შსსუ-ს სუსტი მხარეები

კატეგორია	პუნქტი
განათლება	დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინსტიტუციონალური ზომების ნაკლებობა;
მენეჯმენტი	მონაცემების ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემატიზაციის ნაკლებობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის;
სტუდენტთა მიღება	სუსტი მარკეტინგული სტრატეგია;
	სხვა ქალაქებიდან/რეგიონებიდან სტუდენტთა არასაკმარისი ჩართულობა;
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა	დოკუმენტების ბეჭდურ ვერსიებთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ბარიერები;
	მონაცემთა შეგროვების ელექტრონული პლატფორმა არ არის მომხმარებლისთვის მოსახერხებელი;
კვლევა	კვლევაზე ორიენტირებული სწავლების უკმარისობა;
	კვლევის კუთხით აკადემიური პერსონალის არასაკმარისი ხელშეწყობა;
HR	კადრების უკმარისობა რიგ დონეებზე;
ფინანსები	შემოსავლის წყაროების კატეგორიებს შორის არათანაბარი გადანაწილება;
საერთაშორისო ინფრასტრუქტურა	რიგ პროგრამებში არასაკმარისი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები;
	მოდველებული მატერიალური რესურსები;
	არასაკმარისი ავტო-სადგომის სივრცე;
	დამოუკიდებლად მუშაობისათვის განკუთვნილი სივრცის ნაკლებობა;

ელექტრონული საინფორმაციო სისტემა	არასრულყოფილი ელექტრონული მართვის სისტემა (მათ შორის, შიდა კომუნიკაციის სისტემა);
--	--

მთავარი შესაძლებლობები

მენეჯმენტი	მენეჯმენტის გაუმჯობესება;
კვლევა	კვლევის ხარისხის ამაღლება;
საზოგადოება	პრაქტიკის ქსელის გაფართოება; ბიზნესთან და საზოგადოებასთან მუშაობის ეფექტურობის გაზრდა; უკვე არსებული და მზარდი რეპუტაცია;
განათლება	განათლების ხარისხის ამაღლება; საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მცდელობები;
საუნივერსიტეტო ცხოვრება	სტუდენტებისა და პერსონალის სოციალური აქტივობების გაუმჯობესება;
კურსდამთავრებული ინტერნაციონალიზაცია	კურსდამთავრებულებისგან მზარდი მხარდაჭერა; ინტერნაციონალიზაციის ხვედრითი წონის გაზრდა;
ინფრასტრუქტურა	უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა; კამპუსის განვითარება (ახალი კამპუსი).

ძირითადი/პოტენციური საფრთხეები

კურსდამთავრებულები	ცვლადი დასაქმების ბაზარი;
ინტერნაციონალიზაცია	ცვლადი სავიზო მოთხოვნები;
ფინანსები	სიღრმისეული ეკონომიკური ცვლილებები ქვეყანაში;
ადამიანური რესურსები	მზარდი კონკურენციიდან გამომდინარე, კვალიფიციური კადრების გადინების რისკი;

ბ) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია მნიშვნელოვანი მიზეზები და ფაქტორები. მათ შორის

საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც შეუძლია სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის მომავალ განვითარებაზე.

ადმინისტრაციული ფაქტორი, უნივერსიტეტს 2018-2019 სასწავლო წელს აეკრძალა სტუდენტთა მიღება, თანაც იმ დროს როდესაც უკვე გამოცდები და ჩარიცხვები დამთავრებული იყო. აკრძალვა მოხდა ყოველგვარი ჯეროვანი დასაბუთების გარეშე. ასეთმა მოქმედებებმა სახელმწიფოს უფლებამოსილი პირების მხრიდან შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს კომპანიის შემდგომი საქმიანობა.

2014 წლის 5 აგვისტოდან შსს-ს შემოსავლების სამსახურის მხრიდან მიღებული აქვს საგადასახადო მოთხოვნა, შსს-ს აღნიშნულ დავალიანებას არ აღიარებს და დავა მიმდინარეობს სასამართლოში.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე მაღალია და სერიოზულად განიხილება.

რექტორი

ილიას ჩილოდღუ

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება მოიცავს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენაზე დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს „აუდიტორულმა ფირმა ათოსმა“ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებს, ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი, ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი

2018 წლის 28 სექტემბერი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ვალუტა: ლარი

	12/31/2017	31/12/2016	31/12/2015	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	22	471		ა1
ფული საბანკო ანგარიშზე	151,254	339,561	140,642	ა1
მოკლევადიანი მოთხოვნები	1,106,464	447,961	215,520	ა2
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	76,903	78,947	15,845	ა3
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,264	7,772	1,558	ა4
სხვა მიმდინარე აქტივები	2,052		1,040	ა5
საგადასახადო აქტივები	140,503		112,631	ა6
სულ მიმდინარე აქტივები	1,480,462	874,712	487,236	
ძირითადი საშუალებები	13,909,654	14,506,938	15,009,974	ა7
არამატერიალური აქტივები	9,880	10,910	12,350	ა8
სულ გრძელვადიანი აქტივები	13,919,534	14,517,848	15,022,323	
სულ აქტივები	15,399,996	15,392,560	15,509,559	
მოკლევადიანი ვალდებულებები	744,716	625,412	1,307,766	ა9
საგადასახადო ვალდებულებები		46,543		
სხვა დარიცხული ვალდებულებები	12,411	2,425	1,200	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	757,127	674,380	1,308,966	
გრძელვადიანი სესხი		436,609	436,609	ა10
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		436,609	436,609	
სულ ვალდებულებები	757,127	1,110,989	1,745,575	
საწესდებო კაპიტალი	1,005,736	1,005,736	1,005,736	ა11
მოგება/ ზარალი	12,933,888	12,572,590	12,055,004	ა11
რეზერვები და დაფინანსება	703,245	703,245	703,245	ა11
სულ კაპიტალი	14,642,869	14,281,572	13,763,985	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	15,399,996	15,392,560	15,509,559	

დირექტორი ილიას ჩილოდლუ
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ვალუტა: ლარი

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	2017	2016
შემოსავალი რელიზაციიდან	7,171,983	7,403,492
რელიზებული პროდუქციის თვითირებულება	(44,189)	(59,884)
საერთო მოგება	7,127,794	7,343,609
სხვა შემოსავალი	453,403	30,125
მიწოდების ხარჯები	(117,226)	(173,815)
ადმინისტრაციული დანახარჯები	(6,884,437)	(6,464,556)
ფინანსური დანახარჯები	0	(30,904)
უიმედო და საჭვო დებიტორული დავალიანება	(156,385)	0
სხვა ხარჯები	(2,013)	(645)
მოგება დაბეგვრამდე	421,136	703,814
მოგების გადასახადი		(186,227)
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	421,136	517,587

დირექტორი ილიას ჩილოდლუ
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ვალუტა: ლარი

შპს "შავი ზღვის უნივერსიტეტი"
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

	2017	2016
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	6,654,012	7,250,358
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	(6,791,657)	(7,051,072)
	(137,645)	199,286
საინვესტიციო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	(50,200)	0
	(50,200)	0
ფინანსური საქმიანობა		
არასაოპერაციო შემოსავლები	67,766	128,410
არასაოპერაციო ხარჯები	(68,676)	(128,306)
	(911)	104
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	(188,756)	199,390

დირექტორი ილიას ჩილოდლო
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სპეციალური დანიშნულების კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ვალუტა: ლარი

Row Labels	31.12.2016 დებიტი	31.12.2016 კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31.12.2017 დებიტი	31.12.2017 კრედიტი
5150 საწესდებო კაპიტალი შპს-ში		1,005,737				1,005,737
5310 გაუნაწილებელი მოგება		12,572,590	59,838	421,136		12,933,888
5420 ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		703,245				703,245
ჯამი	0	14,281,572	59,838	421,136	0	14,642,869

დირექტორი ილიას ჩილოღლუ
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



2014 წლის 5 აგვისტოდან შსს-ს შემოსავლების სამსახურის მხრიდან მიღებული აქვს საგადასახადო მოთხოვნა, შსს-ს აღნიშნულ დავალიანებას არ აღიარებს და დავა მიმდინარეობს სასამართლოში.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე მაღალია და სერიოზულად განიხილება.

რექტორი

ილიას ჩილოღლი



შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.
 - ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
 - კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
 - სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
 - კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
 - თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 28 სექტემბერი.

დირექტორი ილიას ჩილოღლუ
2018წ. 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა სტანდარტების მიხედვით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA Code), ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენს ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღდირითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის დროს. უზუსტობები შესაძლოა გამოწვეული იყოს თაღლითობის ან შეცდომის გამო და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-ების შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ



მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს სპეციალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის კვალიფიციური დასკვნის ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

შპს „აუდიტორული ფირმა ატოსი“

28 სექტემბერი, 2018 წელი

თბილისი, საქართველო





დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება მოიცავს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენაზე დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს „აუდიტორულმა ფირმა ათოსმა“ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებს, ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისაგან ბუღალტრულ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი, ალექსანდრე ოქრომჭედილიშვილი

2018 წლის 28 სექტემბერი

